საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/74 "22" ივლისი 2024 წ.

გადაწყვეტილება

სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადდეს კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

გ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

დ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 3 საშტატო ერთეული;

ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგია - 3 საშტატო ერთეული;

ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 3 საშტატო ერთეული;

თ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 3 საშტატო ერთეული.

2. სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლის 18 ვაკანსიაზე განცხადებები ელექტრონული ფორმით მიიღება 2024 წლის 23 ივლისიდან 13 აგვისტოს ჩათვლით.

3. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ მიეწოდოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი